ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 6-11/2361

ქ. თბილისი
02.11.2011წ.

ერთის მხრივ **შპს „საგზაო ტექნიკა“** (შემდგომში ''შემსყიდველი'') მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და **შპს „G.M”** (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის ოლეგი ლუტიძის სახით მეორეს მხრივ, შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1.	ლითონის ფურცელი 2X1X2	1.32895 ტ	1758.54	2 337.00
2.	ლითონის ფურცელი 2X1X2.2	0.61981 ტ	1771.52	1 098.00
				ჯამი: 3 435

2. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში;

2.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, წერეთბილს 118.

2.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ საქონელი გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით, რომელზეც ''შემსყიდველის'' მიერ ხელმოწერა მიიჩნევა საქონლის მიღება-ჩაბარებად.

3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 3 435 (სამი ათას ოთხასოცდათხუთმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დატვირთვის ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 465 (სამი ათას ოთხასსამოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის ფაქტიურად მიწოდებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში.

4. გარანტია

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
5.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკის" შესყიდვების მენეჯერი თეიმურაზ ელკანიშვილი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ამ მუხლის 7.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;
10.2. ხელშეკრულება დაიდო 10 (ათი) დღის ვადით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "საგზაო ტექნიკა"	**შპს „G.M."**
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" – კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE14BG0000000282521400	მის: ქ.თბილისი, ვანის ქ. №4 ს/კ: 401953169
გიორგი როგავა _____	ოლეგი ლუტიზე _____